

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 15-16(148-149) 2017 წ. 1-31 აგვისტო ფასი 1 ლარი

## ანგარიშს აბარებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

## გიორგი გუნიაშვილი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის არჩევნებიდან ზუსტად სამი წელი გავიდა, ამ სამი წლის მანძილზე მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ. სიტყვა პასუხისმგებლობა უბრალოდ არ მიხსენებია. მასში ის დიდი ვალდებულებები იგულისხმება, რომელიც თითოეულმა ამომრჩეველმა ჩვენი – მათ მიერ არჩეულთა წინაშე დააყენა. თუმცა, თითოეულ ჩვენთაგანს ამ ვალდებულებების გარდა, გვაქვს ჩვენი მოვალეობებიც, რაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოველი მოქალაქის მიმართ გვაკისრია.

საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების და ასევე, თითოეული ჩვენთაგანის საზრუნავი იმ პრობლემების შესწავლა იყო და არის, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ ყოფაზე უარყოფით გავლენას ახდენს. პრობლემების შესწავლასთან ერთად, დამეთანხმებით, ოპტიმალურ ვადებში გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი საკითხები მთელი ყურადღებისა და შესაძლებლობების მობილიზებას მოითხოვს. ამიტომაც იყო, რომ უპირველს ყოვლისა, მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები თავად მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან ერთად შევისწავლეთ და მათთან ერთად დავსახეთ მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების აუცილებლობა და შესაძლებლობანი. მინდა გითხრათ, რომ ამ საკითხს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აქტიურად და საღი აზროვნებით მოეკიდა, რაზედაც მადლობას ვუხდი მათ.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო პროგრამამ **„სოფლის მხარდაჭერა“** წლების განმავლობაში მართლაც უმნიშვნელოვანესი ძვრები შეიტანა არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ და ყოფით ცხოვრებაში: გაუმჯობესდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების ხარისხი, მოწესრიგდა საკანალიზაციო, სარწყავი სისტემები, სანიაღვრე არხები გაკეთდა იქ, სადაც ათეული წლები არ ყოფილა, ჩატარდა მდინარის ხევების ნაპირსამაგრი სამუშაოები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა, კეთილმოეწყო, ასფალტის საფარით დაიფარა ან მოიხრეშა გზები, ქუჩები, სადაც ადრე არასოდეს ყოფილა ასფალტი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე ხიდებს, მოეწყო ხიდ-ბოგირები, გარეგანათება გაკეთდა მთელ რიგ ქუჩებსა და უბნებში, აშენდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, საექიმო ამბულატორიებს, გაიხსნა საექიმო მედპუნქტები, მოეწყო სპორტული მოედნები, სკვერები, გზები მივიდა სავარგულებამდე, მოეწყო რიტუალების სახლები, შემოიღობა სასაფლაოები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლიდან სასაფლაოებამდე მისასვლელ გზებს, მოეწყო მოსაცდელები მგზავრებისათვის, გაზიფიცირება ჩატარდა სოფლებში, ეს სამუშაოები მთელ რიგ სოფლებში დღესაც გრძელდება.

**2014 წელს** საქართველოს მთავრობის განკარგულებით **„საქართველოს რეგიონული განვითარების** ფონდიდან ჩვენს მუნიციპალიტეტში 11 უმნიშვნელოვანესი პროექტი განხორციელდა. აქედან 7 პროექტი სასმელი წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობების მოწყობა-მოწესრიგებას ითვალისწინებდა. ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა დიდ ჩაილურში რაზედაც ფონდიდან (3 პროექტი) 464078 ლარი იყო გამოყოფილი, მანავში – 221850 ლარი, პატარძეულში – 145 100 ლარი, თოხლიაურში – 56000 ლარი, ნინოწმინდაში – 119997 ლარი).

გზები მოწესრიგდა ვერხვიანში – აქ 52000 ლარის სამუშაოები შესრულდა.

უდაბნოს საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის ფონდიდან 240757 ლარი გამოიყო.

სოფლების: ლამბალო-თულარის შემაერთებელი ხიდის რეაბილიტაციისათვის – 136999 ლარი, გომბორი-ე.წ. „ხევისუბნის“ მოსახლეობასთან დამაკავშირებელი ხიდისთვის კი აღნიშნული ფონდიდან 162999 ლარი იყო გამოყოფილი.

რაც შეეხება ***„სოფლის მხარდაჭერის“*** პროგრამას, 2014 წელს აქ დაგეგმილი 73 პროექტიდან 69 პროექტი განხორციელდა. სულ გამოყოფილი იყო 1014797 ლარი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში: სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, ცენტრალური მილებისა და შიდა სასმელი წყლის მილების მოწესრიგებას, ჭაბურღილების მოწყობასა და მათ ნორმალურ ფუნქციონირებას (29 პროექტი), სანიაღვრე და სარწყავი არხების (სულ 12 პროექტი, აქედან 3 სარწყავი, 9 სანიაღვრე არხები); საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციას (5 პროექტი), გზების კეთილმოწყობას (12 პროექტი); სასაფლაოს შემოღობვას (8 პროექტი), ხევების ნაპირსამაგრი ჯებირების გაკეთებას (1 პროექტი); რიტუალების სახლების რეაბილიტაციას (2 პროექტი); სავარგულებამდე მისასვლელი გზის მოწესრიგებას (1 პროექტი); მინი სტადიონის მოწყობას (1 პროექტი); კულტივატორის შეძენას (1 პროექტი); მიკროავტობუსში ბუნებრივი აირის მოწყობილობის ჩამონტაჟებას (1 პროექტი); დიდების მემორიალის აღდგენას (2 პროექტი) მოხმარდა.

***2015 წელს „საქართველოს რეგიონული განვითარების“ ფონდიდან*** ჩვენს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 12 პროექტის დაფინანსება მოხდა. მნიშვნელოვანი თანხებით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგების (სოფელ პატარძეულში ჭაბურღილისა და შიდა ქსელების მოწყობა; სოფელ წყაროსთავსა და ე.წ. „აჭარელების უბანში“ 4 ჭაბურღილის მოწყობა; სოფელ ხაშმში სათავე ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია. სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის სატუმბი სადგურების, სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა და გამრიცხველიანება), გზების (ქ. საგარეჯოში ერეკლე II-ის (602400 ლარი), თამარ მეფის (401130 ლარი) ქუჩების ასფალტის საფარისა და ტროტუარების მოწყობა; სოფლებში: გიორგიწმინდაში (150029 ლარი), ბადიაურში (350050 ლარი), კაკაბეთში (391050 ლარი), ასფალტის საფარის მოწყობა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ქ. საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის (138348 ლარი), სოფელ მანავსა (150729 ლარი) და სოფელ გომბორში (101416 ლარი) არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება.

**2015 წელს *„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით*** 44 პროექტი განხორციელდა. აქედან:



საგარეჯოს აგრარული ბაზარი

8 პროექტი სოფლების გზების რეაბილიტაციას (187154 ლარი) წარმოადგენდა. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (ვერონა, ვაშლიანი, წყაროსთავი – 21476 ლარი); სოფელში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (რუსიანი 5096 ლარი); შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა (მანავი, კაკაბეთი, ბადიაური – 134237 ლარი); სავარგულებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და ნაწილობრივ მილების ჩაწყობა (პატარა ჩაილური – 25678 ლარი); სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (27239 ლარი).

სანიაღვრე არხის და კოლექტორის მოწყობა – 1 პროექტი – (ნინოწმინდა – 43217 ლარი);

სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად სულ 18 პროექტი განხორციელდა (463197 ლარი).

მათგან:

სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა და ახალი მაგისტრალის გაყვანა არსებულ მაგისტრალამდე (გომბორი – 18962, ანთოკი – 5215 , ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, ქეშალო, თულარი – 250931 ლარი); სასმელი წყლის ცენტრალური მილის, სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია (ასკილაური – 5597, გორანა – 5299 ლარი, მარიამჯვარი – 4703 ლარი);

არსებულ რეზერვუარამდე სასმელი წყლის მიყვანა (ოთარაანთკარი – 4381 ლარი).

სასმელი წყლის სათავე ნაგებობის უზრუნველყოფა ბუნებრივი წყლით (თოხლიაური – 25249 ლარი);

სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა (მანავი – 16000 ლარი);

სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა (ზემო ბურდიანი – 4500 ლარი);

ჭაბურღილის გაწმენდა და სასმელი წყლის მიყვანა (პატარძეული – 24000 ლარი);

ჭაბურღილის რეაბილიტაცია და დაქსელვა (პატარძეული – 24793 ლარი);

სასმელი წყლის რეზერვუარიდან ახალი მაგისტრალის გაყვანა და შიდა ქსელის მოწყობა (5215 ლარი);

წყალსაქაჩი ტუმბოს მონტაჟი და მილების შეძენა-მონტაჟი (დიდი ჩაილური – 25583 ლარი); სასმელი წყლის ჭაბურღილამდე ელექტროდენის მიყვანა (4609 ლარი);

სასმელი წყლის მაგისტრალური მილის რეაბილიტაცია (ვერხვიანი – 14720 ლარი);

სასმელი წყლის მილების შეძენა (იკვლივ გორანა – 4489 ლარი);

მოსახლეობის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად იყო დასახელებული სარწყავი არხის რეაბილიტაცია (140420 ლარი);

სარწყავი არხის აღდგენა (სასადილო – 5275 ლარი, იორმუღანლო – 42122 ლარი);

სარწყავი არხის კიუვეტით მოწყობა (მანავი – 10500 ლარი);

წყალსატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია (დუზაგრამა, პალდო, წიწმატიანი – 77808 ლარი);

სოფელში არსებული სარწყავი არხის შემოღობვა (პალდო – 4715 ლარი);

მოეწყო გარე-განათება – 52992 ლარი (წყაროსთავი – 8000 ლარი), გიორგიწმინდა – 44992 ლარი;

უჯარმაში აშენდა სარიტუალო ინვენტარისათვის შესანახი სასაწყობო შენობა (10308 ლარი), სარიტუალო დარბაზი მოეწყო მზისგულში (17055 ლარი) და უდაბნოში (17413 ლარი, სულ გაიხარჯა – 44741 ლარი.

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**28 ივლისი, 2017 წელი**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **ციცმარ თედიაშვილი** უძღვებოდა. სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" გამოყოფილი თანხის დამატებით. ცვლილებების შეტანის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 559821 ლარით გაიზრდება, ასევე, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 559821 ლარით.

საქართველოს მთვრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" გამოყოფილია 559821 ლარი.

სწორედ ამ განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად:

1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 5468 ლარი. კონკრეტულად, დაფინანსდა ქ. საგარეჯოში რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია.

2) წყლის სისტემის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს დაემატა 554353 ლარი;

ამასთან, კვლავ დაფინანსდა სოფელ ბადიაურში ე.წ. „სოკარის წყლის" ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად ცვლილება მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, კონკრეტულად:

– საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების 5%-ით თანადაფინანსებისათვის წყლის სისტემის რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 29176 ლარი გადადის სოფელ ბადიაურში ე.წ. „სოკარის წყლის" ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაციის თანადაფინანსებისათვის.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 103835 ლარია გათვალისწინებული – ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით (95%) ქ. საგარეჯოში რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად.

ცვლილებები განხორციელდა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ ბიუჯეტის გადასახდელებშიც. კერძოდ: 1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივებიდან სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გაწეული საექსპერტო მომსახურების ასანაზღაურებლად უნდა გამოეყოს 8384,9 ლარი. აქედან 700 ლარი – გრეიდერის ტექნიკური მონაცემების შესაბამისობის დადგენისათვის, 4350 ლარი – გამგეობის საკუთრებაში რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის მომსახურების ასანაზღაურებლად. 3334.90 ლარი – კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ქ. საგარეჯოში ბაზრის მოწყობისათვის შესრულებული სამუშაოების საინჟინრო ექსპერტიზის მომსახურების ასანაზღაურებლად.

3000 ლარი დაემატება საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის ქვეპროგრამას.

მომხსენებელმა, ასევე აღნიშნა, რომ შიდა ცვლილებაა გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში, კერძოდ:

1. სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამა შემცირდა 3000 ლარით, მარტოხელა დედის დახმარების ქვეპროგრამა შემცირდა 500 ლარით, ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების ქვეპროგრამა შემცირდა 2500 ლარით და სულ 6000 ლარი დაემატა უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების ქვეპროგრამას.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგემ*** **სოფიო შაქარაშვილმა.**

როგორც მან აღნიშნა, შიდა ცვლილებების გამო ერთჯერადი ფულადი დახმარების ქვეპროგრამა შემცირდა 26000 ლარით. ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარების ქვეპროგრამა შემცირდა 500 ლარით; პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა დახმარების ქვეპროგრამა შემცირდა 2500 ლარით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა ბინის ქირის უზრუნველყოფის პროგრამა შემცირდა 3000 ლარით.

**გაიზარდა**:

მოქალაქეთა მკურნალობის და ოპერაციული მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამა 10500 ლარით; ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობის დაფინანსება 4000 ლარით; მედიკამენტებით დახმარების ქვეპროგრამა 8000 ლარით; გამოკვლევების დაფინანსების ქვეპროგრამა 5500 ლარით, უპატრონო და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დაკრძალვის ქვეპროგრამა 4000 ლარით.

რაც შეეხება უფასო სასადილოს დაფინანსებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამაში 15000 ლარით შემცირდა.

***დღის წესრიგის III საკითხზე*** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა*** **გიორგი ქურდოვანიძემ.**

აღნიშნული მოხსენების წარმოდგენისას აზრი გამოთქვეს საკრებულოს დეპუტატებმა. მანავის თემის დეპუტატის ნიკო გიუაშვილის განცხადებით, აუცილებელი იყო მანავის დეპუტაციისათვის წინასწარ გაეცნოთ იმ არასასოფლო-სამეურნეო მიწებისა და მათზე განთავსებულ შენობა-ნაგებობების (სულ 15) ნუსხა, რომლებიც მანავის თემის სოფელ ზემო ბურდიანში მდებარეობს და რომელთა აუქციონზე გატანისათვის დღეს გამგეობა საკრებულოს წევრებიდან მხარდაჭერას ითხოვს. აღნიშნულ ნუსხას დეპუტატები გააცნობდნენ მანავის თემის მოსახლეობას. ინფორმაციის მანავის თემის მოსახლეობისათვის გაცნობა სასურველი იქნებოდა იმ მიზეზითაც, რომ შეიძლება თავად მანაველებმა შეისყიდონ აღნიშნული არასასოფლო-სამეურნეო მიწები და მათზე განთავსებული შენობები.

სხდომაზე აღნიშნულ ნუსხაში ჩამოთვლილი ობიექტებიდან აუქციონზე ყოფილი ბავშვთა საავადმყოფოს შენობების აუქციონზე გატანაზე კენჭისყრისას მხარი არ დაუჭირა 11-მა დეპუტატმა (მომხრე – 9), როგორც დეპუტატებმა განაცხადეს, არასასოფლო-სამეურნეო მიწა მასზე განთავსებული შენობებით სრულყოფილად არ არის შეფასებულიო (შეფასება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოხდა).

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა განხილულ თითოეულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

## დანიშვნა

### გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ საგარეჯოში იოსებ მარხვაშვილი

**დაიბადა** 1974 წელს



**განათლება**: საკავშირო კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეღვინეობის ფაკულტეტი (დაუსწრებელი განყოფილება, 1991-1995წწ); ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, სპეციალობა – საბანკო საქმე და აუდიტი.

**სამუშაო გამოცდილება**: სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა შპს „სამება" (1991-1995წწ); აიპ საგარეჯოს №105 სპორტული სკოლის დირექტორი 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2017 1 ივლისამდე); 2017 წლის 1 ივლისიდან დანიშნულია გამგებლის წარმომადგენლად ქ. საგარეჯოში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

### ოთარ ოთარაშვილი

### გამგებლის წარმომადგენელი სოფელ პატარძეულში

**დაიბადა** 1987 წელს



**განათლება** – თბილისის პოლიციის მცირე აკადემიის იურიდიული, საბანკო საქმიანობის ფაკულტეტი.

**სამუშაო გამოცდილება** – სოფელ პატარძეულის რწმუნებულების თანაშემწე (2010-2011წწ); გამგებლის წარმომადგენელი (2016 წლის სექტემბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე, 2017 წლის 1 ივლისიდან დანიშნულია გამგებლის წარმომადგენლად.

# როგორ შეხვდებიან სკოლები ახალ სასწავლო წელს?

## „მილენიუმის" პროექტით სამი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მოხდება



**ამ** პროექტის განხორციელება, რომელიც „მსოფლიო ბანკის" მიერ ფინანსდება, ჯერ კიდევ მაისის დასაწყისში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მოგვიანებით, მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგებისათვის გადმოინაცვლა. „მილენიუმის" პროექტით მუნიციპალიტეტში სამი – საგარეჯოს II, პატარძეულისა და კაკაბეთის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციის შესახებ გასულ წელს ჩვენმა გაზეთმაც აცნობა დაინტერესებულ პირებს.

ახლა კი, როგორც ***საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა*** **მანანა ცუცქირიძემ** გვაცნობა, უკვე რეალურად დადგა ამ სამუშაოების დაწყების დრო. საამისოდ უკვე მომზადებული ყოფილა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და პირობები და ეს სამუშაოები სულ მალე დაიწყება. როგორც მან აღნიშნა, სავარაუდოდ სამუშაოები ახალი 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებისათვის უნდა შესრულდეს, მაგრამ თუ ამ დროისთვის ვერ მოესწრება, „მსოფლიო ბანკი" 1-2 თვით უზრუნველყოფს ამ სკოლების მოსწავლეთა სხვა სკოლებში სწავლებასა და ტრანსპორტირებას, რის ფინანსურ ხარჯებსაც ბანკი თავის თავზე იღებს. კერძოდ, საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლეები ისწავლიან ქალაქის III საჯარო სკოლაში, პატარძეულის მოსწავლეები – ნინოწმინდაში, კაკაბეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები – პატარა ჩაილურის საჯარო სკოლაში, სადაც მათ მიკროავტობუსებით გადაიყვანენ.

გარდა აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ახალი სასწავლო წლისათვის დიდი სამშენებლო და მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდება მუნიციპალიტეტის სხვა საჯარო სკოლებშიც. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იორმუღანლოს საჯარო სკოლა (დირექტორი კ. აბდულაევი), სადაც სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მორჩენილი თანხებით მოხდება წყლის ჭაბურღილის მოწყობა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკოლის ძველ კორპუსს, დასასრულს უახლოვდება სპორტდარბაზის მშენებლობა, მოწყობილია სველი წერტილები, რომელთა ნორმალურ ფუნქციონირებას ჭაბურღილის მეშვეობით მიღებული წყლით უზრუნველყოფენ. ერთი სიტყვით, ეს საგანმანათლებლო დაწესებულება სრული წესრიგითა და განახლებული იერ-სახით დახვდება სექტემბერში აქ მოსულ მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

როგორც საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა გაგვაცნო, ახალი სასწავლო წლისათვის მცირე მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება მზისგულის, ყანდაურის, უჯარმის საჯარო სკოლებში. იგეგმება ბადიაურის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის დაწყება. ხაშმის საჯარო სკოლაში კი განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტო უზრუნველყოფს ელექტროგანათების გაყვანილობის მოწესრიგებას.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში აქედანვე დაწყებულია ზამთრის თბობის სეზონისათვის მზადებაც. სადღეისოდ 12 საჯარო სკოლას აქვს საკუთარი ავტონომიური გათბობა, ხოლო იქ, სადაც ეს სისტემები ჯერ კიდევ არაა დამონტაჟებული, სატყეო სააგენტოს მეშვეობით შეიტანენ შეშას.

იგივე „მილენიუმის" პროექტის ფარგლებში მიღებულია და დასაწყობებულია ახალი სასკოლო ინვენტარი – დაფები, მერხები, მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, რომელთაც შეიტანენ რეაბილიტირებულ სასკოლო შენობებში. ასევე, მიღებულია ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც მოსწავლეთა კონტიგენტის მიხედვით გადანაწილდება საჯარო სკოლებზე და სახელმძღვანელოების მხრივ არანაირი პრობლემები არ ექნებათ სკოლის მოსწავლეებს.

აქვე, როგორც ჩვენი რესპოდენტისგან შევიტყვეთ, წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 713 მოსწავლე პირველად შეაღებს საგანმანათლებლო დაწესებულების კარებს, რომელთაც ახალ სახელმძღვანელოებთან ერთად, გადაეცემათ ახალი ნოუთბუქები.

ახალ, 2017-2018 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა განახლებული იერ-სახით, შენობების ახალი სახურავებით, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით, მოწესრიგებული სპორტული დარბაზებითა და მოედნებით დახვდება მოსწავლეებს.

*გ. დაბახიშვილი*

# ინფრასტრუქტურა

# წელი — 2014







**საქართველოს** მთავრობის 2014 წლის განკარგულებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის“ მიხედვით 6 ათეულზე მეტი პროექტი განხორციელდა. მთელ რიგ სოფლებში ჩატარდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობების აღდგენითი სამუშაოები და სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, საუბნო ონკანების მოწყობა, საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია, მოეწყო მინი მოედნები....

**გომბორში** ჩატარდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობისა და ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლისთვისაც 19117 ლარი იყო გამოყოფილი;

**რუსიანში –** მისასვლელი გზის მოხრეშვა (5154 ლარი, ინდმეწარმე მიხეილ თედიაშვილი.

**ვერონაში** – სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია (5298 ლარი);

**ვაშლიანში** – სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები (2764 ლარი). ასევე, ჩატარდა აქ სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა (1500 ლარი. ყველა ზემოთჩამოთვლილ სამუშაოებს ასრულებდა ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური“);

**ასკილაურში** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის 5623 ლარი იქნა გამოყოფილი და ამ სამუშაოებს ინდმეწარმე „ზურაბ დევდარიანი“ ასრულებდა.

**უჯარმაში** „ლაფიან ხევის“ სათავიდან სოფელში შემავალი სასმელი წყლის მილები შეიცვალა. უჯარმის მოსახლეობა ხაშმში არსებული წყლის სათავიდან იღებს სასმელ წყალს. აღნიშნულ მაგისტრალს 50 წელზე მეტი ასაკი ჰქონდა, ასე, რომ მისი შეცვლის აუცილებლობა დადგა. საამისოდ 18204 ლარი იყო გამოყოფილი და ეს სამუშაოები ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაურმა“ შეასრულა.

**პალდოში** – სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვითი სამუშაოები (4133 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური“).

**მუხროვანში** – წყლის სათავე ნაგებობიდან სოფელში გამოსაყვანი სასმელი წყლის ქსელისათვის მილების შესაძენად 2877 ლარი-გაიხარჯა, მოხდა სარწყავი სისტემის (ბასეინის) შემოღობვა (2000 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური“);

**კოჭბანში** – სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია (5707 ლარი);

**ოთარაანთ კარში** – მდინარე გომბორულას ნაპირსამაგრი სამუშაოები (4433 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური“).

**სასადილოში** სარიტუალო დარბაზის მშენებლობისათვის სამშენებლო მასალების შეძენა (5358 ლარი);

**გორანაში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და შიდა ქსელის მოწესრიგება (5334 ლარი, ინდმეწარმე „თეიმურაზი წიკლაური“).

**იკვლივგორანაში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა ქსელის გაყვანაზე 4505 ლარი იყო გამოყოფილი.

**ხაშმში** – სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები (32432 ლარი, შპს „სვეტი+“ იოსებ სიბოშვილი);

**პატარძეულში** – „უსტიაანთ უბანში“ სანიაღვრე არხის მოწესრიგება და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (49450 ლარი, ინდმეწარმე „ნუგზარ ბეჟიტაშვილი“);

**ნინოწმინდის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩატარდა სამზარეულოს რემონტი (6000 ლარი; ინდმეწარმე „ვასილ ენაგელი“); ასევე, აქ მოხდა სოფლის №14 და №31 ქუჩების სარემონტო სამუშაოები და სანიაღვრე არხების მოწყობა (12000 ლარი). სავარგულებამდე მისასვლელი გზის ორმული დამუშავება-რეაბილიტაცია (10345 ლარი, ორივე სამუშაო შპს „კავკასიონი-96“ აბრამ სამხთუაშვილმა შეასრულა); სასმელი წყლის გაყვანა ე.წ. „აჭარელების“ დასახლებაში (12500 ლარი ინდმეწარმე გიორგი ტოპეშაშვილი);

**წყაროსთავში** ინდმეწარმე „სოსო ანუაშვილის“ მიერ მოეწყო და მოწესრიგდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობა. (20019 ლარი);

**გიორგიწმინდაში** სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო მინი სტადიონი (42279 ლარი, ინდმეწარმე „სოსო მარიდაშვილი“), სოფლის ცენტრში მოხდა „დიდების მემორიალის“ აღდგენა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (3000 ლარი);








**მარიამჯვარში –** სოფ. გიორგიწმინდიდან სოფელ მრიამჯვარადე გზის მონაკვეთზე დაზიანებული მონაკვეთების მოსწორება-რეაბილიტაცია (4733 ლარი, სამუშაოები შეასრულა ინდმეწარმე „ვანო საბაშვილმა“)

**ანთოკში** – კახეთის გზატკეცილიდან სოფელ ანთოკამდე გზის სარეაბილიტაციო და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (3226 ლარი); სოფელ ანთოკის რიყიდან სასაფლაომდე საუბნო გზის მოსწორება (2000 ლარი);

**თოხლიაურში** – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეცვლა-სარეაბილიტაციო სამუშაოები (26000 ლარი); სასმელ წყალზე მოეწყო გამანაწილებელი (494 ლარი, აღნიშნული სამუშაოები შესრულდა ინდმეწარმე „ჯემალ თარიმანაშვილის“ მიერ);

სოფელ **სათაფლეს** მიკროავტობუსში ჩამონტაჟდა გაზის მოწყობილობა (2500 ლარი); მოხდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწესრიგება და სათავე ნაგებობის მოწყობითი სამუშაოები (3062 ლარი; ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“);

**მანავში** – სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (3712 ლარი, ინდმეწარმე „თამაზ ქვლივიძე“). შიდა გზების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (48358 ლარი), ინდმეწარმე „გიორგი აზარიაშვილი“)

**ზემო ბურდიანში –** შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (4517 ლარი, ინდმეწარმე „გიორგი აზარიაშვილი“

**დიდ ჩაილურში** – სასაფლაოს შემოღობვა (15000 ლარი, ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“); შეიძინეს სარწყავი ტუმბოები (10509 ლარი);

**პატარა ჩაილურში** – „ქავრიანთ წყაროს“ შემოღობვა და სათავის შეკეთება (11676 ლარი); სანიაღვრე არხების მოწესრიგება (500 ლარი); შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (14357 ლარი, ყველა სამუშაო ინდმეწარმე „სულხანი მარხვაშვილის“ მიერ შესრულდა);

**კაკაბეთში** – „საბას წყლის“ რეზერვუარიდან სოფლამდე და სოფელში სასმელი წყლის ქსელის და საუბნო ონკანების მოწყობა (5112 ლარი, ინდმეწარმე „ნოდარ ხებრელაშვილი“);

**ვერხვიანში** – სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია (3000 ლარი, ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“), სასმელი წყლის სათავე ნაგებობს გაწმენდა (3743 ლარი, ინდმეწარმე „შალვა სამხთუაშვილი“); სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში იზოლირებული ოთახის შერემონტება (11610 ლარი, შპს „კახეთის კარიბჭე-2013“);

**ყანდაურაში** – სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (26000 ლარი, ინდმეწარმე „გიორგი ტოპეშაშვილი“); ჩატარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2 ჯგუფში სარემონტო სამუშაოები (1336 ლარი, ინდმეწარმე „ვანო საბაშვილი“); ზემო ყანდაურაში შ ძენილ იქნა ორი კულტივატორი H+105, კულტივატორის საბურავები და სათიბი (4493 ლარი);

**ბადიაურში** – სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა და შიდა ქსელების მოწესრიგება (30989 ლარი, ინდმეწარმე „თამაზ ქვლივიძე“);

**მზისგულში** – სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა და რეზერვუარის სარეაბლიტაციო სამუშაოები (12098 ლარი); ასევე, „გმირთა მემორიალის“ რეაბილიტაცია (5000 ლარი, ინდმეწარმე „ნოდარ თედიაშვილი“);

**შიბლიანში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები (1568 ლარი, ინდმეწარმე „ბერდია შათირიშვილი“);

**იორმუღანლოში** – სასმელი წყლის ჭაბურღილის მოსაწყობი სამუშაოები (35000 ლარი, ინდმეწარმე „ოლეგ შენგელია“); იორმუღანლოს სასაფლაოს შემოღობვითი სამუშაოების ნაცვლად აქ მოეწყო მოსაცდელი, რომელზედაც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 7383 ლარი იყო გამოყოფილი;

**ქეშალოს** სასაფლაოს ტერიტორიაზე მოეწყო მოსაცდელი (14000 ლარი, ინდმეწარმე „როინი ფირყულაშვილი“); მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი (45185 ლარი, ინდმეწარმე „ოლეგ შენგელია“);

**დუზაგრამაში** – სასაფლაოს ტერიტორიაზე მოსაცდელის რეაბილიტაცია (14000 ლარი, ინდმეწარმე „ზაქარია დარისპანაშვილი); და ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია (12374 ლარი, ინდმეწარმე „ავთანდილ ბეგიაშვილი“);

**პალდოში** (დუზაგრამის თემი) აშენდა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე 4X4 ფართო

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# ინფრასტრუქტურა

# წელი— 2014

**დასასრული**

(10000 ლარი, ინდმეწარმე „ზაქარია დარისპანაშვილი“); ასევე, რეაბილიტირებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა (15772 ლარი, ინდმეწარმე „ავთანდილ ბეგიაშვილი“);

**წიწმატიანში** რეაბილიტირებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა (18776 ლარი, ინდმეწარმე „ავთანდილ ბეგიაშვილი“);

**დუზაგრამა, პალდო, წიწმატიანი –** სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები (11029 ლარი, ინდმეწარმე „რამაზ ლაფაჩიშვილი“).

**ზემო ლამბალოში** – სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (40000 ლარი, ინდმეწარმე „გივი ანუაშვილი“); ზემო ლამბალოში –სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა (24293 ლარი, ინდმეწარმე „ვანო იმედაშვილი“);

**ქვემო ლამბალოში** შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას 63151 ლარი მოხმარდა (ინდმეწარმე „დავით სიბოშვილი“ და ინდმეწარმე როინ ფირყულაშვილი); 40000 ლარი იყო გამოყოფილი სოფლის სასაფლაოს შემოსაღობად, მაგრამ ეს სამუშაოები შეიცვალა გზის მოხრეშვითა და სარწყავი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებით.

**ლამბალოში –** სარწყავი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა – 9670 ლარი, ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“)




**თულარში** ინდმეწარმე „ვანო იმედაშვილის“ მიერ მოხდა სარწყავი არხის რეაბილიტაცია (35978 ლარი); ასევე, შპს „ელანა“ – რამაზ წერეთლის მიერ შესყიდულ იქნა ჭაბურღილის საქაჩი ნასოსი (1500 ლარი); თულარში ჭალის ცენტრალური გზის მოხრეშვა (25000 ლარი, ინდმეწარმე „დიმიტრი ივანელაშვილი“);

**კაზლარში** სოფლის ცენტრალური და შიდა გზების რეაბილიტაციას 25000 ლარი მოხმარდა (ინდმეწარმე „დავით სიბოშვილი“).

**თულარში** სარწყავი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები – (7372 ლარი, ინდმეწარმე „ვანო იმედაშვილი“);

**უდაბნოში** – სარიტუალო დარბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელზედაც გამოყოფილი იყო 18024 ლარი (ინდმეწარმე „ზაქარია დარისპანაშვილი“);

# ინფრასტრუქტურა

# წელი— 2015

**2015 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 44 პროექტი განხორციელდა (1012296 ლარის ღირებულების), ხოლო რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით – 11 პროექტი (2435273 ლარის ღირებულების).მათგან დიდი ყურადღება მიექცა ქუჩების, გზების მოწესრიგებას, მოასფალტებას, სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და მაგისტრალების შეკეთებას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი თანხები გაიღო საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა სოფლად ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. მაშ, ასე:**







**მოეწყო სანიაღვრე არხები**

* სოფელ იორმუღანლოში – 3 კმ მიწის კიუვეტი;
* სოფელ ყანდაურაში – 0.7 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი
* სოფელ მანავში – 0.12 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი

**ასფალტის საფარი დაიგო:**

* ქ. საგარეჯოში, ერეკლე II-ის ქუჩაზე – 2.2 კმ-ზე;
* ქ. საგარეჯოში, თამარ მეფის ქუჩაზე – 0.51 კმ-ზე;
* სოფელ გიორგიწმინდაში – 0.9 კმ-ზე;
* სოფელ კაკაბეთში – 2.1 კმ-ზე;
* სოფელ ბადიაურში – 0.7 კმ-ზე;

***(სულ 6.46კმ)***

**მოიხრეშა გზები:**

* სოფელ თულარში – 1.2კმ* სოფელ ლამბალოში – 2.7კმ
* სოფელ იორმუღანლოში – 2.4 კმ
* სოფელ ბადიაურში – 1.85კმ
* სოფელ კაკაბეთში – 2.58კმ
* სოფელ მანავში – 2.4კმ
* სოფელ ნინოწმინდაში – 1.5კმ
* სოფელ წყაროსთავში – 0.8კმ
* სოფელ ვაშლიანში – 2.2კმ

***(სულ 17,63კმ)***



# ინფრასტრუქტურა

# წელი— 2015

<u>**გაგრძელება**</u>

* სოფელ ნინოწმინდაში – 1.1 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი
***(სულ 3 კმ მიწის და 1.92 კმ რკინა-ბეტონის კიუვეტი)***
**მოეწყო სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები**
* სოფელ კაკაბეთში – 1 (ახალი სათავე-ნაგებობა)
* სოფელ გომბორში – 1 სათავე-ნაგებობა
* სოფელ ასკილაურში – 1 სათავე-ნაგებობა
**ამოიცვალა დაზიანებული სასმელი წყლის მილი:**









* სოფელ გომბორში – 1.1 კმ * სოფელ ხაშმში – 0.1 კმ
* სოფელ ნინოწმინდაში – 0.6 კმ
* სოფელ ანთოკში – 1.1 კმ
* სოფელ მარიამჯვარში – 0.8 კმ
* სოფელ კაკაბეთში – 0.55კმ
* სოფელ მანავში – 0.8 კმ
***(სულ 5.02 კმ)***
**გაკეთდა ახალი წყალსადენი:**
* სოფელ კაკაბეთში – 2.8კმ
* სოფელ დიდ ჩაილურში – 3.2 კმ









* სოფელ დუზაგრამაში – 3.3 კმ
* სოფელ მანავში – 5.1კმ
* სოფელ თოხლიაურში – 1 კმ
* სოფელ გომბორში – 0.85 კმ
* სოფელ ასკილაურში – 1 კმ
* სოფელ გორანაში – 0.8 კმ
***(სულ 18.05კმ)***
**გაკეთდა სარიტუალო დარბაზი**
* სოფელ უდაბნოსა და
* სოფელ თულარში
**შეკეთდა**
* არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული დარბაზი.

# ინფრასტრუქტურა

# წელი — 2016

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმატებით განხორციელდა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც 2016 წლის დასაწყისიდან დაიგეგმა ქალაქსა და სოფლებში გზების, სასმელი წყლის სისტემების მოსაწესრიგებლად, გარე განათების მოსაწყობად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის.

## ფონდი „რეგიონული განვითარება“

**ფონდ** „რეგიონული განვითარების“ მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების, გზების, სანიაღვრე არხების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თითქმის ორ მილიონნახევარ ლარზე მეტი იყო გამოყოფილი.

– სოფელ **ხაშმში** სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია (პროექტის მთლიანი ღირებულება 465650 ლარი);

– ქ. **საგარეჯოში, დოდაშვილის ქუჩაზე** ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობა – 600 მეტრი (190.190 ლარი);

– სოფელ **პატარა ჩაილურში** სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა (146.948ლარი);

– სოფელ **შიბლიანში** მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა (335979 ლარი, 1600 მ.0.

– ქ. **საგარეჯოს №3 საბავშვო ბაღის** რეაბილიტაცია (70 096 ლარი);

– სოფელ **ბადიაურის საბავშვო ბაღის** რეაბილიტაცია (88999 ლარი);

– სოფლების **დუზაგრამა-თულარის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა (854 495 ლარი);

– ქ. **საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე** ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (191 499 ლარი, 621მ);

– ქ. **საგარეჯოში, ქურდიანის ქუჩაზე** ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (40 321 ლარი 169მ);

– ქ. **საგარეჯოში, ჯანგულაშვილის** ქუჩაზე ასფალტის საფარისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (73.793 ლარი, 330მ).


სასმელი წყლის მაგისტრალი თოხლიაურიდან უდაბნოსკენ


მანავი

## „სოფლის მხარდამჭერის“ პროგრამა

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებით 100 პროექტი განხორციელდა, რომლის დაფინანსება 1 012 296 ლარს შეადგენდა.

***1.*** **<u>სასმელი წყლის სათავის, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, შიდა ქსელების მოწყობა:</u>**

***სულ მუნიციპალიტეტში ასფალტის საფარი დაიგო 5997 მეტრზე, ბეტონის საფარი – 790 მეტრზე***

– სოფელ **პატარძეულში** (სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 5485 ლარი, სასმელი წყლის რეზერვუარის და ტუმბოს შეძენა – 9883 ლარი);

– სოფელ **წყაროსთავში** (სისტემის რეაბილიტაცია – 6028 ლარი);

– სოფელ **ანთოკში** (სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა – 4404 ლარი);

– სოფელ **მარიამჯვარში** (სასმელი წყლის ცენტრალური მილის შეცვლა – 4020 ლარი);

– სოფელ **ზემო ბურდიანში** (სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა – 3846 ლარი);

– სოფელ **იორმუღანლოში** ( არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა – 3965 ლარი);

– სოფელი **ზემო ლამბალო – ქვემო ლამბალო-თულარი-იორმუღანლო** („სოკარის წყლის“ რეაბილიტაცია – 82588 ლარი);

– სოფელ **ქვემო ლამბალოში** (სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 41537 ლარი);

– სოფელ **თოხლიაურში** (სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა – 18997 ლარი)

**<u>2. სარწყავი სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია, გაწმენდა</u>**

– სოფელ **მუხროვანში** (სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – პროექტის ღირებულება – 4213 ლარი);

– სოფელ **კოჭბანში** (სარწყავი არხის სათავე ნაგებობის მოწყობა – 2354 ლარი);


მანავის მგზავრთა მოსაცდელი

– სოფელ **სასადილოში** (სარწყავი სისტემის მოწყობა – 4254 ლარი);

– სოფელ **დუზაგრამაში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 6926 ლარი);

– სოფელ **პალდოში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 6999 ლარი);

– სოფელ **წიწმატიანში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 6100 ლარი);

– სოფელ **ზემო ლამბალოში** (სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 7892 ლარი);

– სოფელ **ქეშალოში** (სარწყავი არხის გაწმენდა – 5160 ლარი);

**<u>3. სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია:</u>**

– სოფელ **პატარძეულში** (პროექტის ღირებულება – 21177 ლარი);

– სოფელ **ნინოწმინდაში** (33608 ლარი);

– სოფელ **მანავში** (25417 ლარი);

**<u>4. მოეწყო გარე განათება</u>**

– სოფელ **ხაშმში** (პროექტის ღირებულება – 15868 ლარი);

– სოფელ **წყაროსთავში** (11055 ლარი);

– სოფელ **მანავში** ( 3030 ლარი);

– სოფელ **დიდ ჩაილურში** (16755 ლარი);

– სოფელ **პატარა ჩაილურში** (13598 ლარი);

– სოფელ **კაკაბეთში** (53906 ლარი);

– სოფელ **შიბლიანში** (12389 ლარი);

**<u>5. შემოიღობა სასაფლაო</u>**

– სოფელ **კოჭბაანში** (პროექტის ღირებულება – 2542 ლარი);

– სოფელ **იორმუღანლოში** (7151 ლარი);

**<u>6. მოხდა სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია:</u>**

სოფელ **ვერონაში** (პროექტის ღირებულება – 4561 ლარი);

– სოფელ **რუსიანში** სარიტუალო ასაწყობი კონსტრუქციის შეძენა ((პროექტის ღირებულება – 5485 ლარი);

**7. მოეწყო საქონლის დასარწყულებელი**

სოფელ **სათაფლეში** (პროექტის ღირებულება – 4807 ლარი);

**<u>8. მოეწყო სკვერი:</u>**

– სოფელ **ნინოწმინდაში** (პროექტის ღირებულება – 4613 ლარი);

**<u>9. მოეწყო სკვერში განათება:</u>**

სოფელ **ყანდაურაში** (პროექტის ღირებულება – 846 ლარი);

**<u>10. მოხდა სტადიონის რეაბილიტაცია:</u>**

სოფელ **ყანდაურაში** (პროექტის ღირებულება – 19812 ლარი);

**<u>11. მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი:</u>**

– სოფელ **მანავში** 2 ადგილზე (პროექტის ღირებულება – 12717 ლარი);

– სოფელ **იორმუღანლოში** (5841 ლარი);

– სოფელ **ქეშალოში** (12455 ლარი);

**<u>12. კეთილმოეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზო:</u>**

– სოფელ **დიდ ჩაილურში** (პროექტის ღირებულება – 3999 ლარი);

**<u>13. შეძენილ იქნა ატრაქციონი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში:</u>**

– სოფელ **ყანდაურაში** (პროექტის ღირებულება – 3869 ლარი);

**<u>14. მოეწყო კულტურის ცენტრი:</u>**

– სოფელ **უდაბნოში** (პროექტის ღირებულება – 15366 ლარი);

**მოეწყო ჭაბურღილი** სოფელ **გიორგიწმინდაში** – (პროექტის ღირებულება – 40119 ლარი);

**<u>სარიტუალო სახლის რეაბილიტაცია –</u>**

– სოფელ **მზისგულში** (პროექტის ღირებულება – 12198 ლარი);

**<u>სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობე შენობა</u>**

– სოფელ **კაზლარში** (პროექტის ღირებულება – 29263 ლარი);

**<u>შემოიღობა სასაფლაო</u>**

– სოფელ **გომბორში** (პროექტის ღირებულება –15068 ლარი);

**<u>რეაბილიტაცია</u>**

**<u>რეაბილიტაცია გაუკეთდა სასაფლაოსთან მისასვლელ გზას</u>**

– სოფელ **გომბორში** (პროექტის ღირებულება – 2542 ლარი);

**რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა სასოფლო გზებსა და სანიაღვრე არხებს**

– სოფელ **ვაშლიანში** (პროექტის ღირებულება – 4561 ლარი);

– სოფელ **ხაშმში** (10999 ლარი);

– სოფელ **პატარა ჩაილურში** (2985 ლარი);

– სოფელ **ზემო ყანდაურაში** (4824 ლარი);

– სოფელ **ქეშალოში** (22171 ლარი);

– სოფელ **დუზაგრამაში** (13595 ლარი);

– სოფელ **პალდოში** (14279 ლარი);

– სოფელ **წიწმატიანში** (12888 ლარი);

– სოფელ **ზემო ლამბალოში** (11499 ლარი);

– სოფელ **თულარში** (20865 ლარი);

**სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია:**

– სოფელ **მანავში** (პროექტის ღირებულება – 6309 ლარი);

– სოფელ **ვერხვიანში** (15524 ლარი);

**სადრენაჟე სისტემის მოწყობა სავარგულებში**

– სოფელ **თულარში** (პროექტის ღირებულება – 21969 ლარი);

**სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია**

– სოფელ **გორანაში** (პროექტის ღირებულება – 5704 ლარი);

– სოფელ **იკვლივ გორანაში** (4798 ლარი);

– სოფელ **უჯარმაში** (5075 ლარი);

– სოფელ **გომბორში** (2309 ლარი);

– სოფელ **კაკაბეთში** სასმელი წყლის ონკანების დამონტაჟება (1259 ლარი).


ლამბალოს საჯარო სკოლა


უდაბნოს სპორტული დარბაზი

# ინფრასტრუქტურა

# წელი — 2016

## ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამუშაოები

| | |
|---|---|
| ქ.საგარეჯოს კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე ცხაურის მოწყობა | 959 |
| საგარეჯოში ასფალტსაფარის ორმული შეკეთება | 17 582 |
| ხაშმის დაზიანებული მილის შეკეთება | 3 428 |
| ბადიაურში დაზ.მილის გამოსაჩენად ექსკავატორით გრუნტის სამუშაოების შესყიდვა | 1 765 |
| ბადიაურში დაზ.”სოკარის”სასმ.წყლის მილის შეძენა- მონტაჟი | 4 112 |
| საგარეჯოს მშვიდობის ქუჩაზე სასმელი წყლის ჭაბურღილის დაწყლის რეზერვუარის მოწყობა | 38 350 |
| წყაროსთავის სასმ.წყლის ტუმბოს შეძენა-მონტაჟი | 4 439 |
| საგარეჯოს სასმ.წყლის ტუმბოს შეძენა-მონტაჟი | 5 690 |
| ნინოწმინდის წყლის დაზ.ჭაბურღ.აღდგენა | 2 000 |
| წყაროსთავის დაზიან.სასმ.წყლის მილის შეცვლა | 2 800 |
| ბადიაურში დაზიან. წყლის მაგისტრალის შეკეთება | 1 883 |
| ჩაილურში,მზისგულში წყლის მილსადენის მონტაჟი | 1 442 |
| ყანდაურაში, უდაბნოში წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია | 15 280 |
| კოსტავას ქუჩის №14-და №16 კორპუსების წყალმომარაგების სამუშაოები | 23 750 |
| უდაბნოს წყლის მილსადენის აღდგენა | 2 729 |
| ბადიაურის წყლის ცენტრ.მაგისტრალის მონტაჟი | 1 340 |
| საგარეჯოში დაზიანებული წყლის ტუმბოს აღდგენა | 9 136 |
| გიორგიწმინდაში ჭაბურღ.ტუმბოს მოწყობა | 5 015 |
| ბადიაურში წყლის მილის მონტაჟი | 1 263 |
| ნინოწმინდის წყლის დაზ.ჭაბურღ.დემონტაჟი და გაწმენ.სამუშაოები | 4 985 |
| თოხლიაურის სასმ.წყლის ჭაბურღ.და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები. | 71 470 |
| კოჭბაანში წყლის რეზერვუარის მოწყობა | 5 019 |
| ბადიაურის(სოკარის წყლის) წყლის ცენტრ.მაგისტრალის დაზ.პოლიეთ.მილ. მონტაჟი | 1 680 |
| იორმუღანლოს იუსტიციის სახლის მიმდ.ტერიტ.კეთილმოწყობის სამუშაოები | 48 989 |
| პატარძეულში ყუშიტაანთ უბანში სასმ.წყლის გაყვანის სამუშაოები | 14 413 |
| თულარში დაზ.სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 3 990 |
| პატარძეულში ახალი ჭაბურღ.სასმ.წყლის ქსელის მოწყობა | 2 190 |
| ყანდაურის გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 5 898 |
| პატარძეულში სანიაღვრე არხის და ლითონის ცხაურის მოწყობა | 3 385 |
| გიორგიწმინდის ამბულატორიის შეკეთება | 21 141 |
| შ.გზირიშვილის სახ.სპორტდარბაზის შეკეთების სამუშაოები | 18 596 |
| ა.მეკოკიშვილის სახ.სპორტდარბაზის შეკეთების სამუშაოები | 1 466 |
| ნინოწმინდის №4,№5 ჭაბურღილების მონტაჟი | 15 789 |
| მანავში ახალი წყლის რეზერვუარის მოწყობა | 15 379 |
| წყაროსთავში დაზ.სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 2 059 |
| ნინოწმინდაში დაზ.სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 9 165 |
| საგარეჯოში დაზ.სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 6 108 |
| პატარძეულის სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 4 000 |
| საგარეჯოს ქუჩების გარეგანათების მოვლა-პატრონობა | 74 340 |
| კახეთის გზატკეცილზე №13,№15 კორპუსების დაზიანებ.სახურავების შეკეთება | 39 720 |
| საგარეჯოს,გიორგიწმინდის,ნინოწმინდის,პატარძეულის,თოხლიაურის, მანავის ქუჩებიდან საოჯახო ნარჩენების გატანა | 338 200 |
| ქუჩების დაგვა-დასუფთავება, წყალსადინარი არხების გაწმენდა, გამგეობის შენობის და ეზოს დასუფთავება | 112 100 |
| სკვერების,პარკების,მოედნების და გამწვანების ზოლების მოვლა-პატრონობა | 58 250 |
| გომბორი, გორანა, კოჭბანის გზების გაწმენდა ექსკავატორით | 1 992 |
| მუღალნოში დაზ.სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს შეძენა-მონტაჟი | 3 897 |
| უჯარმის წყალსადენი მილის მოწყობა | 9 988 |
| საგარეჯოს ყოფ.პოლიტექნკოლეჯის, კახეთის გზატკეც.№7-ის, პატარძ.სტადიონთან მიმდებარედ .დაზიანებული ჭაბურღილის ტუმბოს შეძენა-მონტაჟი | 34 842 |
| ბადიაურის 50მმ-იანი წყლის მილის შეცვლა და შიბლიანის წყალსადენი მილის მოწყობა | 11 798 |
| თოხლიაური-უდაბნოს სასმელი წყლის მაგისტრალის აღდგენა-რეაბილიტაცია | 4 369 000 |
| ნინოწმინდის მდ.იორზე გადასასვლელი ხიდის შეკეთება | 29 012 |
| საგზაო ნიშნების მოწყობა | 7 553 |
| კოსტავას ქუჩის,”სამგორის დასახლების’,სარაჯიშვილის ქუჩის,სათაფლეს წყლის მილების და საუბნო ონკანების მოწყობა | 14 158 |
| თულარის დაზ.სასმ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 3 571 |
| კოსტავას ქუჩის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები | 25 369 |
| კაზლარის წყლის დაზ.ჭაბურღ.დემონტაჟი და გაწმენ.სამუშაოები | 5 000 |
| წყლის მილების შესყიდვის ხარჯი | 21 920 |
| წყაროსთავის, ნინოწმინდის, მზისგულის სასმელი წყლის ტრანსფორმატორების შეკეთება | 12 288 |
| საგარეჯოს დაზ.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 6 291 |
| შიბლიანის წყლის სათ.ნაგებობის მოწყობა | 10 000 |
| პატარძეულის წყლის ჭაბურღილის გაწმენდა | 5 000 |
| საგარეჯოს ქუჩების გარეგანათების მოწყობა | 6 595 |
| საგარეჯოს ქუჩების გარეგანათების მოწყობა | 3 565 |
| პატარა ჩაილურის გარეგანათების მოწყობა | 5 764 |
| უჯარმის სანიაღვრე არხის მოწყობა | 4 161 |
| საგარეჯოში ბაზრის მოწყობის სამუშაოები | 196 267 |
| უჯარმის საბავშვო ბაღის სახურავის შეკეთება | 11 797 |
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის 6 ცალი ენერგოეფქტური შეშის ღუმელის შესყიდვა | 2 260 |
| დუზაგარამის სკოლამდ.დაწესებულებისთვის ინვენტარის შესყიდვა | 9 728 |
| მანავში ცხაურის მოწყობა | 1 311 |
| ხაშმის წყლის მაგისტრალის რეზერვუარის მოწყობა | 10 249 |
| ვერხვიანში.წყლის ჭაბურღ.ტუმბოს მონტაჟი | 990 |
| უდაბნოს გარეგანათების მოწყობა | 32 922 |
| სათაფლეს გარეგანათების მოწყობა | 8 900 |
| მანავის საბ.ბაღში ჟოლობების მოწყობა და ღობის შეკეთება | 5 040 |







№15-16(148-149) 2017 წელი, 1-31 აგვისტო

# ანგარიშს აბარებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გუჯირიშვილი

**გაგრძელება**

ხაშმის საბავშვო ბაღში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო ეზო (32255 ლარი);

შიბლიანის ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში მოეწყო საექიმო ამბულატორია (15864 ლარი);

რაც შეეხება კაზლარში ივრის ხეობის ნაპირსამაგრის რეაბილიტაციას, აქ 32612 ლარი გაიხარჯა.

**2016 წელს** მუნიციპალიტეტში **„სოფლის მხარდაჭერის“** პროგრამით 100 პროექტი განხორციელდა. ძირითად პრიორიტეტებად გასულ წელსაც ცენტრალური, შიდა და სოფლამდე მისასვლელი გზები, სასმელი წყლის სისტემის შეცვლა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა, ჭაბურღილების ფუნქციონირება, გარეგანათების მოწყობა და სოფლების წინაშე მთელი რიგი პრობლემების მოგვარება იყო.

აღნიშნული პროგრამით გზების მოსაწესრიგებლად 18 პროექტი განხორციელდა, რაზედაც 214 150 ლარი გაიხარჯა. აქედან შიდა გზების – 6 პროექტი: უჯარმა, რუსიანი, იორმუღანლო, თულარი, დუზაგრამა, ლამბალო (მთლიანი თანხა 97985 ლარი); შიდა გზების რეაბილიტაციისა და სანიაღვრე არხების მოსაწყობად – 12 პროექტი (ვაშლიანი, ასკილაური, ხაშმი, ზემო ყანდაურა, ქეშალო, დუზაგრამა, პალდო (დუზაგრამის თემი) წიწმატიანი, ზემო ლამბალო თულარი (მთლიანი თანხა 116165 ლარი);

გარდა იმისა, რომ გზების მოწესრიგებასთან ერთად მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, ასევე, სოფელ პატარძეულში, მანავსა და ნინოწმინდაში მოხდა სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული სამი პროექტის განსახორციელებლად 80815 ლარი გაიხარჯა.

მეტად აქტუალური იყო სოფლებში არსებული სარწყავი სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება, რაზედაც აღნიშნული პროგრამიდან 6 პროექტის (მუხროვანი (2), დუზაგრამა, პალდო, წიწმატიანი, ზემო ლამბალო) განსახორციელებლად 35809 ლარი იყო მიმართული.

რაც შეეხება სარწყავი სისტემის მოწყობას, სარწყავი არხის სათავე-ნაგებობების მოწყობას, სისტემის გაწმენდას, აქ 3 პროექტი განხორციელდა – კოჭბანი – (მოეწყო სათავე-ნაგებობა), სასადილო, ქეშალო (გაიწმინდა), რაზედაც 12690 ლარი გაიხარჯა. სულ კი აღნიშნულ სოფლებში სარწყავი სისტემის ფუნქციონირებისათვის 9 პროექტი 48499 ლარით დაფინანსდა.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით ჩვენი მოსახლეობის ნორმალური მომარაგებისათვის ***„სოფლის მხარდაჭერის“*** პროგრამით უამრავი პრობლემა მოგვარდა. ამ კუთხით, ჩვენთან 20 პროექტი განხორციელდა, რაც არცთუ ისე ცოტაა. ამ პრობლემის მოგვარებისთვის აღნიშნული პროგრამიდან 300683 ლარი გაიხარჯა.

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის 9 პროექტი განხორციელდა: გორანა, იკვლივ გორანა (2 პროექტი), პატარძეული, წყაროსთავი, ბადიაური, ლამბალო, მანავი, ვერხვიანი; შიდა ქსელების მოწყობა – ზემო ბურდიანი; სასმელი წყლის სათავისა და ქსელის რეაბილიტაცია მოხდა ოთარაანში და ანთოკში, გომბორში განხორციელდა სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე რეზერვუარის დაერთება; შეძენილ იქნა რეზერვუარი და ტუმბო პატარძეულში არსებული ჭაბურღილისათვის; სასმელი წყლის ჭაბურღილი მოეწყო გიორგიწმინდაში, სასმელი წყლის ცენტრალური მილი ამოიცვალა მარიამჯვარში; თოხლიაურში მოხდა სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა, ქვემო ლამბალოში მოეწყო სასმელი წყლის სისტემა, რეზერვუარი მოეწყო იორმუღანლოში, კაკაბეთში დამონტაჟდა ონკანები, სათავე-ნაგებობის შემოღობვა მოხდა პატარა ჩაილურში.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობისათვის პრობლემას წარმოადგენდა გარე-განათება, რომელიც ან საერთოდ არ იყო, ან ორ ათეულ წელზე მეტია გაუქმებული იყო. ამ კუთხით **„სოფლის მხარდაჭერის“** პროგრამიდან 11 პროექტი (უჯარმა, მანავი, ხაშმი, წყაროსთავი, დიდი




ჩაილური, კაკაბეთი, შიბლიანი (2-ჯერ) ბადიაური, უდაბნო, ყანდაურა) 145096 ლარით დაფინანსდა და დღეს აღნიშნულ სოფლებში მოსახლეობა გარეგანათებით სარგებლობს.

ასევე, ათეული წლები მოსახლეობისთვის კლიმატური პირობების ცვლილებებისას უხერხულ სიტუაციას ქმნიდა მგზავრთა მოსაცდელების არარსებობა. 6 პროექტი (იორმუღანლო (2 ცალი), მანავი (2 ცალი) 35547 ლარით დაფინანსდა და დღეს აღნიშნული სოფლების მოსახლეობისთვის ეს პრობლემა გადაჭრილია.

4 პროექტი (ვერონა, მზისგული (2), გომბორი) განხორციელდა სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობისას, რაზედაც 27347 ლარი გაიხარჯა.

მოხდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (გომბორი), რაზედაც 2850 ლარი მიიმართა.

შემოიღობა სასაფლაოები, 3 პროექტს (გომბორი, კოჭბანი, იორმუღანლო) 24068 ლარი მოხმარდა.

სოფელ პალდოში შემოიღობა სავარგული, რაზედაც 5075 ლარი გაიხარჯა, ხოლო თულარში სავარგულებში სადრენაჟე სისტემის მოწყობაზე 16383 ლარი გაიხარჯა.

სკვერი მოეწყო (4921 ლარი) სოფელ ნინოწმინდაში.

ყანდაურაში მოხდა სტადიონის რეაბილიტაცია (20121 ლარი).

ყურადღება გამახვილდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეზოს კეთილმოწყობასა (დიდი ჩაილური – 4309 ლარი) და ატრაქციონების (ყანდაურა – 4178 ლარი, ბადიაური – 3709 ლარი) მოწყობაზე.

მოეწყო კულტურული ცენტრი უდაბნოში (18597 ლარი);

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის აშენდა სასაწყობე შენობა კაზლარში 29263 ლარი);

საქონლის დასარწყულებელი მოეწყო სოფელ სათაფლეში (5116 ლარი);

ყანდაურაში არსებულ ბოგირზე მოეწყო სამაგრი მოაჯირი (4952 ლარი).

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით 2016 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. კერძოდ:

ქ.საგარეჯოს დოდაშვილის ქუჩის მოასფალტება – 190190 ლარი;

სოფელ ბადიაურში საბავშვო ბაღის შეკეთება – 88998 ლარი;

ქ. საგარეჯოს 3 საბავშვო ბაღის შეკეთება – 70086;

ქ. საგარეჯოს ქეთევან წამებულის ქუჩის მოასფალტება – 335980 ლარი;

სოფ:პატარა ჩაილურში სატუმბი რეზერვუარის და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა– 146948 ლარი;

ქ.საგარეჯოს წერეთლის ქუჩის მოასფალტება – 191 499 ლარი;

ქ.საგარეჯოში, ჯანგულაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა – 73792 ლარი;

ქ.საგარეჯოში, ქურდიანის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა – 40321 ლარი;

სოფ.შიბლიანის გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – 373700 ლარი;

სოფ.ხაშმში სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია – 465650 ლარი;

სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – 683596 ლარი.

2017 წელს ***მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით*** მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. კერძოდ:

საგარეჯოს №1, №2, №4, №5, №6 და სოფელ წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, რაზედაც აღნიშნული ფონდიდან 16750 ლარია გამოყოფილი;

– სოფელ ვერხვიანის, სოფ. კაკაბეთის №1, სოფ. მზისგულის და პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია – 19009 ლარი;

ქ. საგარეჯოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების გაგრძელება (გაუთვალისწინებელი სამუშაოები) – 25116 ლარი;

ქ. საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩაზე „სიყვარულის ხიდის“ რეაბილიტაციის, თამარ მეფის ქუჩისა და ერეკლე მეორის ქუჩის ტროტუარების მოწყობის სამუშაოები – 217000 ლარი;

ქ. საგარეჯოში ერისთავის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები – 147777 ლარი;

ქ. საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია – 6342 ლარი;

ქ. საგარეჯოში, ნინოშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის და ცხაურის მოწყობა – 5649 ლარი;

ქ. საგარეჯოში, თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია – 6353 ლარი;

სოფელ ნინოწმინდაში საბავშვო ბაღის შენობის შეკეთების სამუშაოები – 227580 ლარი;

სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები – 660000 ლარი;

ქ. საგარეჯოში ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეკეთებისა და ჯაფარიძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის შეკეთების სამუშაოები: 3832 ლარი;

ქ. საგარეჯოში აიპ „საგარეჯოს №105 საცურაო კომპლექსის“ შეკეთების სამუშაოები – 17921 ლარი;

სოფლებში – ბადიაურში, ვერხვიანში, კაკაბეთში, შიბლიანში (28604 ლარი), თოხლიაურში ხაშმში, წყაროსთავში (1791 ლარი) გარე განათების სამუშაოების მოწყობა.

– სოფლებში: იკვლივ გორანაში, მუხროვანსა და ოთარაანთკარში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 6221 ლარი;

გიორგიწმინდაში – სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის, დიდ ჩაილურში – სასმელი წყლის შემკრები ავზის რეაბილიტაციის, ნინოწმინდაში საბავშვო ბაღისა და №1 ჩიხის სასმელი წყლის ქსელების, სათაფლეში სასმელი წყლის ჭის რეაბილიტაციის სამუშაოები – 15343 ლარი;

ბადიაურის საბავშვო ბაღის ატრაქციონის მოწყობის, მანავში №1 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობისა და ბაღის ეზოს კეთილმოწყობის, ნინოწმინდაში სანიაღვრე არხზე ცხაურების მოწყობისა და ყანდაურაში არსებულ ბოგირზე მოაჯირების მოწყობის სამუშაოები – 15962 ლარი;

იორმუღანლოსა და პატარძეულში მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები – 14557 ლარი;

მზისგულსა და გომბორში სარიტუალო დარბაზის, უდაბნოში ძველი საბავშვო ბაღის შენობაში ორი ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოები – 9034 ლარი;

სოფლებში – რუსიანსა და უჯარმაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები – 7996 ლარი;

სოფელ დუზაგრამაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია – 15871 ლარი;

სოფელ თულარში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია – 14701 ლარი;

სოფლებში – იორმუღანლოსა და პატარა ჩაილურში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები – 13113 ლარი;

ქ. საგარეჯოში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები – 13755 ლარი.

***მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია ჩვენი მუნიციპალიტეტის მცირემიწიან ფერმერებს იმ სახელმწიფო პროგრამით, რომელიც 2014-2015-2016 წლებში განხორციელდა.***

**2015 წლის** ადრეულ გაზაფხულზე 12050 სასოფლო-სამეურნეო ბარათი მიიღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მცირემიწიანმა ფერმერებმა. აქედან ხვნის ბარათი – 8025 ცალი იყო, აგრობარათი – 4025. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში 8 ათას ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი მოიხნა.

**საგარეჯოს** მუნიციპალიტრეტში რეგისტრირებულია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი აქვს მინიჭებული 32 კოოპერატივს. აქედან 6 კოოპერატივი სარგებლობს მაღალმთიანი სოფლებისათვის განკუთვნილი შეღავათებით.

**მუნიციპალიტეტის** მოსახლეობის დიდი მოწონება და მადლიერება დაიმსახურა „მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტმა“, სახელმწიფომ მიწის მფლობელებს მიწის დარეგისტრირების პრობლემა უფასოდ მოუხსნა. მანამდე საქართველოში არსებული მიწის მხოლოდ 25% იყო დარეგისტრირებული – მთელი რიგი ბარიერების გამო. მიწის მფლობელებს აღნიშნული პროექტით საშუალება მიეცათ მამა-პაპეული თუ შეძენილი მიწების დარეგისტრირების, რომელიც საჯარო რეესტრმა მოაწესრიგა.

**პროექტმა**, რომლის ღირებულება 27 ათასი ლარია, 2016 წელს წყალუზრუნველყოფილი გახადა საგარეჯოს მუნიციპალიტრეტის კიდევ 210 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. 2016 წელს 1429 წყალმოსარგებლემ ისარგებლა სარწყავი წყლით და სულ 3362,87 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა მოირწყა.

**სახელმწიფო** დაფინანსებით ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პროექტი „დანერგე მომავალი“ ითვალისწინებს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას, თანამედროვე სანერგე მეურნეობების შექმნას, მრავალწლიანი ხეხილის ბაღების გაშენების სტიმულირებას ფინანსური და ტექნიკური დახმარების ხელშეწყობით.

ჩვენს მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა ათეულობით პროექტი, რომლის თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 916947 ლარი, ხოლო ფართობმა 258 ჰა.

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადებამ დადებითი შედეგები გამოიღო ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. კერძოდ, 2015 წელს წელს წარმოებული იქნა 11700 ტონა ხორბალი. საშუალოდ 1 ჰექტარზე 3.5 ტონა. ქერი – 2202 ტონა, საშუალოდ – 4.1 ტონა.

2015 წელს ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 8865 ტონა რქაწითელი, 5637 ტონა საფერავი, 897 ტონა კახური მწვანე, 297 ტონა სხვა ჯიშები. რაიონში წარმოებული იყო 22411 ტონა ყურძენი.

2016 წელს უკვე გაშენდა ატმის, შავი ქლიავის, ნუშის, თხილის ნერგები.

**2016 წელს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მევენახეებმა 16820 ტონა ყურძენი მიიღეს, საიდანაც 10023 ტონა იყო რქაწითელი, 1256 ტონა – კახური მწვანე, 900 ტონა – სუფრის ყურძენი, 4516 ტონა – საფერავი, სხვა ჯიშები – 125 ტონა.

**2016 წელს** სულ 8203 ხვნის ბარათი გაიცა.

**2016 წელს** მუნიციპალიტეტის მემინდვრე-ფერმერებმა 15600 ტონა მარცვალი მიიღეს, აქედან 11500 ტონა ხორბალი და 4100 ტონა ქერი. ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავალმა 2,1 ტონა შეადგინა, ქერისამ – 2,3 ტონა.

მართალია ამ სამ წელიწადში ბევრი პრობლემა მოგვარდა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. იმედს გამოვთქვამ არსებული პრობლემებიც სერიოზული და მიზანმიმართული მუშაობით საბოლოოდ გადაიჭრება.

მუნიციპალური გვერდი

# წელი — 2017



**წლების** განმავლობაში მართლაც უმნიშვნელოვანესი, მთელი რიგი პრობლემატური საკითხები მოწესრიგდა პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – ამოიცვალა სასმელი წყლის მაგისტრალები, შეკეთდა სასმელი წყლის რეზერვუარები, სათავე-ნაგებობები; საუბნო ონკანები დაიდგა იმ უბნებში, სადაც საერთაოდ არ ყოფილა. გაკეთდა სასმელი წყლის ქსელები, მოწესრიგდა ცენტრალური და საუბნო გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიდებს, მოსწორდა და ნორმალური კალაპოტი გაუკეთდა მდინარეებს, ხევებს, მოეწყო გარე განათება ისეთ უბნებში, სადაც ათეული წლებია არ ყოფილა, მოწესრიგდა და კეთილმოეწყო სკვერები, მინი სტადიონები, მინი სპორტული მოედნები, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, მოწესრიგდა მოსახლეობის კუთვნილ სავარგულებამდე მისასვლელი გზები, მოეწყო მგზავრთა მოსაცდელები, მოწესრიგდა, შემოიღობა სასაფლაოები, მაგრამ... გასაკეთებელი, მოსაგვარებელი საკითხები ჯერ კიდევ ბევრია. აღნიშნული პროგრამა კი უკვე ამოიწურა... თუმცა წინა წლებში განუხორციელებელი პროექტებიდან მორჩენილი თანხებით ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლებისთვის რჩება კიდევ ერთი შესაძლებლობა – მოწესრიგდეს თუნდაც ერთი პრობლემა. ამის საშუალებას იძლევა საქართველოს მთავრობის განკარგულებაც,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი 19631,21 (ცხრამეტი ათას ექვსას ოცდათერთმეტი ლარი და 21 თეთრი) ლარის და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი 31628,41 (ოცდათერთმეტი ათას ექვსას ოცდარვა ლარი და ორმოცდაერთი თეთრი) ლარის ოდენობით „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე დარჩენილი 270881,01 (ორას სამოცდაათი ათას რვაას ოთხმოცდაერთი ლარი და ერთი თეთრი) ლარის ოდენობით – ჯამში ეკონომიამ შეადგინა 322140,63 (სამას ოცდაორი ათას ას ორმოცი ლარი და სამოცდასამი თეთრი) ლარი, რომელიც 2017 წელს მიმართულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ:

*– სოფ. გომბორში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია;*

*– სოფ. უჯარმაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სარიტუალო ინვენტარის შეძენა, ამბულატორიის საპირფარეშოსთვის საშენი მასალის შეძენა;*

*– სოფ. პალდოში ეკლიანი მავთულის შეძენა;*

*– სოფ. სასადილოში სარწყავი არხის სისტემის რეაბილიტაცია;*

*– სოფ. მუხროვანში სარწყავი წლის აღდგენა;*

*– სოფ. იკვლივ გორანაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია;*

*– სოფ. ოთარაანში 2015 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხით შეძენილი სასმელი წყლის მილების მოწყობა;*

*– სოფ. ხაშმში გარე განათების მოწყობა, კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია;*

*– სოფ. პატარძეულში სამი მოსაცდელის მოწყობა, სასმელი წყლისთვის პოლიეთილენის მილის და ონკანების შეძენა;*

*– სოფ. ნინოწმინდაში ცხაურების მოწყობა №11 და №12 ქუჩებზე, საბავშვო ბაღში და №1 ქუჩის I შეს. სასმელი წყლის შეყვანა, სოფლის სტადიონის შემოღობვა;*

*– სოფ. წყაროსთავში გარე განათების მოწყობა, 150მ სასმელი წყლის 40მმ-იანი მილის შეძენა;*

*– სოფ. გიორგიწმინდაში ჭაბურღილზე დამატებითი რეზერვუარის მოწყობა, “ნავრობის ხევის” სათავე-ნაგებობის შემოღობვა;*

*– სოფ. თოხლიაურში გარე განათების მოწყობა;*

*– სოფ. სათაფლეში სოფელში არსებული ჭის რეაბილიტაცია, პოლიეთილენის მილის შეძენა;*

*– სოფ. მანავში №1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა;*

*– სოფ. დიდი ჩაილურში წყლის შემკრები ავზის სრული რეაბილიტაცია;*

*– სოფ. პატარა ჩაილურში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;*

*– სოფ. კაკაბეთში გარე განათების მოწყობა, სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;*

*– სოფ. ვერხვიანში გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია;*

*– სოფ. ყანდაურაში სოფელში არსებულ ბოგირზე სამაგრი მოაჯირის მოწყობა, საუბნო წყლის რეაბილიტაცია;*

*– სოფ. ბადიაურში საბავშვო ბაღისათვის ატრაქციონების შეძენა, გარე განათების მოწყობა, სასოფლო კლუბისთვის საპირფარეშოს მოწყობა;*

*– სოფ. მზისგულში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;*

*–სოფ. შიბლიანიში გარე განათების მოწყობა, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია;*

*– სოფ. უდაბნოში ძველი საბ.ბაღის შენობაში ორი ოთახის რეაბილიტაცია კულტ. ცენტრის მოსაწყობად;*

*– სოფ. იორმუღანლოში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მოსაცდელის მოწყობა, სოფელში ე.წ. სოკარის წყლის გაყვანა;*

*– სოფ. ლამბალოში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;*

*– სოფ. თულარში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;*

*– სოფ. დუზაგრამაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.*

*– სოფ. ქეშალოში გარე განათების მოწყობა;*

*– სოფ. კაზლარში მოსაცდელის მოწყობა;*



მანავის II საბავშვო ბაღის გახსნაზე



სავარგულებამდე მისასვლელი გზა, მანავი



სარწყავი არხის რეაბილიტაცია



ახალი საწარმოს გახსნაზე

№15-16(148-149) 2017 წელი, 1-31 აგვისტო

# ინფრასტრუქტურა-2016

## საუკუნის მშენებლობები

### სასმელი წყალი

**სოფელ** უდაბნოს 235 აბონენტს 2016 წლიდან ახალი სასმელი წყლის მაგისტრალიდან მიეწოდება წყალი. მაგისტრალი სოფელ თოხლიაურიდან უდაბნომდე 27კმ-ს მოიცავს. მისი მშენებლობა სახელმწიფო დაფინანსებით 4 მილიონ 369 ათასი ლარით მოხდა. მაგისტრალის მთლიანი სიგრძე (სოფელში უბნების მიხედვითაც) 37 კმ და 600 მეტრია.

სასმელი წყლით სოფლის 24 საათიანი მომარაგებისათვის აქ 2 ცალი ორიათასტონიანი ავზია. არის საქლორატორო, სამორიგეო, რომლებიც ერთ შენობაშია განთავსებული და მომსახურება აქ 24 საათიან მორიგეობას ითვალისწინებს. სასმელი წყლისათვის ორი სატუმბი სადგურია. ერთი ე.წ. „ყორუღთან“ და მეორე ე.წ. „კოდასთან“, სადაც დამონტაჟებულია ახალი სატუმბი აგრეგატები.









### ახალი სასკოლო შენობები




**2016 წლის** 13 ოქტომბერს ლამბალოში საჯარო სკოლის ახალი შენობა გაიხსნა. შენობა სამსართულიანია, სადაც 43 საკლასო ოთახია განთავსებული. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა, სპორტული და საკომუნიკაციო დარბაზები (დამხმარე სათავსოებით), ექიმის კაბინეტი, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები (3 ოთახი), ბიბლიოთეკა, სასადილო, ღია სპორტული მოედანი 300 მ2 ფართით და რაც ყველაზე თანამედროვეა, სკოლა არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. არის პანდუსები, აქვთ ლიფტი, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. სკოლაში 1100 მოსაწავლე ორ სექტორზე სწავლობს – აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე. ქართულ სექტორზე 260 მოსწავლეა, აქ 25 პედაგოგია დაკავებული მათი სწავლებით. მათი საერთო რაოდენობა კი 75-ია. სკოლაში 48 საფინანსო კლასია.

შენობა კავკასიის ქვეყნების მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და დიდკონტიგენტიანია. მის მშენებლობაზე 4 მილიონ 344000 ლარი გაიხარჯა.

### იორმუღანლო

**სკოლის** შენობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია, სადაც გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, აღჭურვილია ახალი ინვენტარით, აქვს თანამედროვე გათბობის სისტემა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლას-კაბინეტი. უნდა აღინიშნოს, რომ სოფ.იორმუღანლოს სკოლაში 1200-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს და ისინი წლების განმავლობაში ოჯახებში მოწყობილ არასტანდარტულ, სასწავლო პროცესისათვის შეუფერებელ საკლასო ოთახებში სწავლობდნენ.














# რაც დავიწყებით არ იბინდება

## აგვისტოს გმირები

**2008 წლის** 8 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში რუსული აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი, დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა, პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს და გვირგვინით შეამკეს თანამემამულეების რეზო მამისაშვილის საფლავი მარიამჯვარში და კაპიტან გიორგი კირაკოზაშვილის სახელობის მემორიალი დიდ ჩაილურში. დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები და ჩანახატები წაუკითხეს დამსწრე საზოგადოებას.





## ზაფხული – 2017

# ფილმის ჩვენება

**აგვისტოს** დასაწყისში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურისა და პროექტის „საქართველოს მოხალისე“ წარმომადგენლების ერთობლივი ინიციატივით გაიმართა ანიმაციური ფილმის ჩვენება კულტურის სახლის მიმდებარე სკვერში.



## საზოგადოებრივი აზრი

# პრობლემა, რომელიც აქტუალურია

**ქალაქ** საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა შეხვედრა თემაზე “ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით”. შპს “სამი ფარის კომპანიის“ წარმომადგენლებმა შალვა და კახა ხვთისავრიშვილებმა მოწვეულ საზოგადოებას საინტერესო მოსაზრებები გააცნეს ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, რესურს-ცენტრის, შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის სოციალური სააგენტოს, საგარეჯოს განყოფილების წარმომადგენლებმა, ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარმა მღვდელმა ვახტანგ მჭედლიშვილმა.

როგორც შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, წარმოდგენილი საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ცხოვრებაში და ასეთი სახის შეხვედრები ხშირად უნდა იმართებოდეს საზოგადოებასთან, ცალკეული სოფლების მოსახლეობასთან, რათა ერთმანეთს გაემიჯნოს ძალადობა და აღზრდის, ადამიანებთან ურთიერთობის საკითხები და ამასთან აუცილებელია ყოველგვარი ძალადობის გამოვლენას შესაბამისი, ადეკვატური აღმკვეთი მოქმედება მოჰყვეს.



## სპორტი

# გოგა მაისურაძის ხსოვნის ტურნირი




**საფეხბურთო** გუნდ „გარეჯის“ ცნობილ ფეხბურთელსა და ფეხბურთის გარეჯული კადრების აღმზრდელს, გოგა მაისურაძეს 29 ივლისს დაბადებიდან 54 წელი შეუსრულდა. ფეხბურთის ყველა გარეჯელ გულშემატკივარს კარგად ახსოვს ჩვენგან უდროოდ წასული ფეხბურთელის ისტორია, რომელიც 47 წლის ასაკშიც „გარეჯში“ თამაშობდა და ამავე დროს, პატარა საგარეჯოელებსაც აუფლებდა ფეხბურთის საიდუმლოებებს. ასეთი კაცის ღვაწლი ნამდვილად დასაფასებელია და მისასალმებელია ისიც, რომ მადლიერი ადამიანები, სპორტის გარეჯელი მესვეურები არ ივიწყებენ მის ამაგს.

სწორედ ამის გამოძახილი იყო ივლისის

**ფეხბურთის სექციის მენეჯერი ზაზა ქარსაულიძე**



პირველ ნახევარში აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციისა და ამავე აიპ-ის ფეხბურთის სექციის მენეჯერის ზაზა ქარსაულიძის ინიციატივითა და ძალისხმევით ჩატარებული ფეხბურთელის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც ქ. საგარეჯოსა და სოფ. ნინოწმინდის სულ 12 გუნდი იღებდა მონაწილეობას.



მსაჯი ბიჭიკო სულიკაშვილი

კერძოდ, ტურნირში მონაწილეობდნენ საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალს“-ის, რუსთაველის ქუჩის, გალმაუბნის, წყაროსთავის, „კვირტას“, ალაზნის ქუჩის, „ნინოწმინდა I“ და „ნინოწმინდა-2“, კოსტავასა და კახეთის ქუჩებისა და გოგა მაისურაძის აღზრდილი ვეტერანების გუნდები.

გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად და წრიული სისტემით წარიმართა გათამაშება. საბოლოოდ ფინალში ორი გუნდი – „ჯეოჰოსპიტალს“-ი და რუსთაველის ქუჩის ფეხბურთელები გავიდნენ, რომელთა პაექრობაშიც „ჯეოჰოსპიტალსელებმა“ დამაჯერებელი ანგარიშით 3:1 სძლიეს რუსთაველის ქუჩელებს და გახდნენ ტურნირის გამარჯვებულები.

ტურნირზე დაწესებული იყო ფასიანი საჩუქრები, თასები. „ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელის“ პრიზი დაიმსახურა ზურა სამუნაშვილმა („ჯეოჰოსპიტალს“-ი), საუკეთესო მსაჯის კი ბიჭიკო სულიკაშვილმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ საათებით.

ასევე, ტურნირში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასებითა და სიგელებით. როგორც ჩვენთან საუბარში ფეხბურთის მენეჯერმა ზაზა ქარსაულიძემ და ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა რეზო ხებრელაშვილმა აღნიშნეს, ასპარეზობის დასრულების შემდეგ მასში მონაწილე ყველა გუნდის ფეხბურთელებმა გამოთქვეს სურვილი არაოფიციალურად შეაგროვონ თანხა, რომლითაც გოგა მაისურაძის საფლავზე გარეჯელი ფეხბურთელების სახელით დაიდგმება სამახსოვრო ქვა.



გამარჯვებული „ჯეოჰოსპიტალს“-ის გუნდი

# მილოცვა



**დაბადების** დღეს ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო და იურიდიული განყოფილების უფროსს ეკა ტაბატაძეს.***

ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში და ბედნიერებას საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*



**დაბადების** დღეს ვულოცავთ გაზეთ „გარეჯის მაცნეს" ბუღალტერს **ნანა ქურდოვანიძეს.**

ვუსურვებთ გახარებას თავისი საყვარელი მარიამის ნათელი მომავლით.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია*



**დაბადების** დღეს ვულოცავთ აიპ ***„საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" დირექტორს ბია ბედიაშვილს.*** ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, პირად ბედნიერებას, წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

*აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" თანამშრომლები*

## ახალგაზრდების საყურადღებოდ!

# საგარეჯოში ახალი პროექტი იწყება

პროექტი სახელად „ცვლილება ხარ შენ" ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია Iრის როუპ-ის მხარდაჭერით, მისსავე პროექტ „მრავალფეროვნების სკოლის" ფარგლებში. პროექტი აქცენტს აკეთებს გენდერულ საკითხებზე და მისი მიზანია ახალგაზრდებში ქალის სოციალური როლის გააზრებას შეუწყოს ხელი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე აქტივობა, მათ შორის ტრენინგ-კურსის განხორციელება და გამოფენის მოწყობა. პროექტი მონაწილეებს საშუალებას მისცემს აიმაღლონ თავიანთი ცნობიერების დონე გენდერულ საკითხებში, ასევე განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროექტი ორიენტირებულია ასწავლოს მათ, თუ როგორაა შესაძლებელი სოციალური აქტივობის დაგეგმვა და მართვა.

პროექტში „ცვლილება ხარ შენ" მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა 13-დან 17წლამდე გოგონას, რომელსაც აინტერესებს გენდერის საკითხები. პროექტში მოსახვედრად აუცილებელია აპლიკაციის შევსება, რომლის დედლაინია 30 აგვისტო, 18:00სთ. პროექტის აპლიკაციის ნახვა შესაძლებელია Facebook გვერდზე შემდეგი სახელწოდებით: ცვლილება ხარ შენ

ასევე, ყოველი დამატებითი და საჭირო ინფორმაცია განთავსებულია ამავე მისამართზე.

პროექტის განხორციელების ვადებია 7-8 სექტემბერი.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის მენეჯერს, მაგდა საგინაშვილს შემდეგნაირად:

მისამართი: Magda Saginashvili

e-mail: magdasaginashvili@gmail.com

## სპორტი

### ძიუ-დო

# თავი კვლავ ისახელეს

**ივლისში** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღია პირველობაზე ძიუდოისტ გოგონათა შორის მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, საგარეჯოს, სენაკის, მცხეთის, ზესტაფონის, ხელვაჩაურის, აბაშის, წეროვანის, წალკისა და თურქეთის ძიუდოისტი გოგონები.

კარგი შედეგები აჩვენეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" ძიუდოისტმა გოგონებმა (მწვრთნელი ლუდა ფერაძე).

**I ადგილები დაიკავეს**: მარიამ ხოსიტაშვილმა (32 კგ წონითი კატეგორია), ლალი ხოსიტაშვილმა (36 კგ წონითი კატეგორია), ვარდო ბუჩაშვილმა (52 კგ წონითი კატეგორია), მარიამ კოხტაშვილმა (57 კგ წონითი კატეგორია).

**მეორე ადგილები დაიკავეს**: ქეთი ქისტაურმა, თამთა სუხიაშვილმა, მარიამ ლაფაჩიშვილმა, ნინი ლოლაძემ და სალომე გულისაშვილმა,

**მესამე** ადგილზე გავიდა თამარ დარბაისელი.

## მადლიერების მისამართები

### ქალბატონ მერი გოდერძიშვილს

**დიდი** სიყვარულით და პატივისცემით მოგილოცავთ, საიუბილეო თარიღს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებთ, რამეთუ თქვენისთანა მრავალმხრივ განვითარებული ქალბატონები საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის. სასიამოვნო და საინტერესოა თქვენზე საუბარი, რადგან თქვენ განათლებული, შრომისმოყვარე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ხართ.

მერი მასწავლებელო – ასე მოგმართავენ საგარეჯოს მთელი მოსახლეობა. უზომოდ გვიყვარხართ თქვენი წარსულისა და დღევანდელობის გამო. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდით საგარეჯოს №1 საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად იყავით ჩაბმული. ერთგული, უღალატო მეგობარი ხართ უაღრესად პატივცემული პიროვნების – მიხეილ მანდარიასი. თქვენი ცხოვრების მანძილზე ერთად ეწეოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას. პატივცემული მიხეილ მანდარიას ღვაწლი და დამსახურება უდიდესია საქართველოს წინაშე, რისთვისად დიდ მადლობას გიხდით.

თავდაუზოგავად დიდი შრომა გაქვთ გაწეული თბილისის სააღმზრდელო დაწესებულებაში, რათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მაღალ დონეზე დაგეყენებინათ. ბატონი მიხეილი განათლების სამინისტროს წამყვან განყოფილებებს ბრწყინვალედ უძღვებოდა, ხართ მრავალი ჯილდოს მფლობელები.

მოხიბლული ვართ თქვენი ნიჭიერებით, ქართველი ქალის კდემამოსილებით, თქვენი სიდინჯით, საქმის ღრმა ცოდნით სამაგალითო და მისაბაძი ხართ დამწყები პედაგოგებისთვის.

თქვენ ბრწყინვალე ოჯახის შვილი ხართ, დედათქვენი – ქ-ნი ნინო და მამა ილია წლების განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში კეთილსინდისიერად მუშაობდნენ, ძმა გუგული გოდერძიშვილი პროფესორი, უსათნოესი ვაჟკაცი – ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პრორექტორი, ძმისშვილები თემური, დავითი, ხათუნა უნიჭიერესი ახალგაზრდები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. შვილიშვილები მისაბაძი გყავთ. უპატიოსნეს ოჯახად აღიქმება მთელი თქვენი ოჯახი. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი საგვარეულო.

გილოცავთ საიუბილეო დღეს, გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

***უახლოესი მეგობრების სახელით:***

*ლ. ანუაშვილი,*

*ნ. როსტიაშვილი*

## გამოსათხოვარი

### ბელა გრატიაშვილი



**ორმოცი** ტკივილიანი დღე გავიდა უშენოდ, ბელა. მხოლოდ 60 წელი გარგუნა უფალმა დამტკბარიყავი სიცოცხლით. ვამაყობთ შენი ცხოვრების წესით. შენ ხომ ისე იცხოვრე, როგორც ქართველ, ქრისტიან კაცს შეეფერება. საოცარი სიყვარულით გიყვარდა ოჯახი, შვილები. ხელჩაკიდებული დაგყავდა საბავშვო ბაღში, სკოლის დაწყებით კლასებში შენი შოთიკო და ლელა. შეჰხაროდი მათ წარმატებებს, ამაყობდი. გიხაროდა ლელას სტუდენტობა, მეტი პასუხისმგებლობაც იგრძენი, ყველანაირ სამუშაოს ასრულებდი, ოღონდ შვილებისთვის არაფერი მოგეკლო. შოთიკოც გვერდში ამოგიდგა და უფრო ხალისით შეუდექი შენი ტვირთის ზიდვას... მხოლოდ 22 წელი იხარე ოჯახის სილამაზით... შენმა მოულოდნელმა დიაგნოზმა გული დაგვიმძიმა, ვაი, რომ მასთან ყველანაირად უძლურები აღმოვჩნდით. ვერ ვიჯერებთ, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარასოდეს იქნები. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს. შენი ცოლ-შვილი სანთელსა და საკმეველს არ მოგაკლებს.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

*მეუღლე მარინა, შვილები შოთიკო, ლელა გრატიაშვილები*

## გახსენება

### ნანა ზირაქაშვილი-ოთიაშვილი



**დაბადების** დღეს გილოცავთ, ჩემო საყვარელო, ჩემო ნიჭიერო, განათლებულო, ჩემო სიცოცხლით გაუხარელო, ქმარ-შვილზე თვალდარჩენილო, შვილო ნანა. უკვე მეორე დაბადების დღეს უნდა შევხვდეთ უშენოდ – 15 აგვისტოს 39 წლის ხდები. ძნელია დაბადების დღის გადახდა უშენოდ, შენგან მარტო დარჩენილი საშინელი ნოსტალგიით ვხვდები ამ ყველაფერს. ვიხსენებ და თვალს ვავლებ ჩემს ცხოვრებას. გული უფრო და უფრო საშინლად მტკივა, როცა ვაცნობიერებ, რომ სამუდამოდ გაექეცი შენს საყვარელ ქმარ-შვილს, დედ-მამას და შენს საფიცარ ერთდაერთ ძმას, რომელსაც არაფერი დაუზოგავს შენს გადასარჩენად. გაექეცი ამქვეყნიურ ცხოვრებას და ბინა იმ ქვეყნად დაიდე. უშენობას ვერ მივეჩვიე, შვილო, აგერ უკვე წელიწადი და 10 თვე უნდა გახდეს, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. მაგრამ, მე ისევ გელოდები, ისევ, კარები რომ გაიღება და შენი ქმარ-შვილი შემოვა, მგონია შენც შემოხვალ და დაიძახებ, დედა, მოვედი. ვიცი, ეს ყველაფერი ტყუილია, მაგრამ მე მაინც ამ ტყუილით ვცხოვრობ. ამ იმედით, შენს მოლოდინში გავლევ ამქვეყნიურ მწარე დღეებს. ძნელია, შვილო, უშენოდ ყოფნა, მაგრამ ვერაფერს ვერ ვცვლი. შენ ხომ უზომოდ გიყვარდა ქმარ-შვილი. შენს შვილებს უჭირთ უშენობა და თანდათან გვიძნელდება მათი ტკივილიანი თვალების ყურება, მაგრამ შენი უბედური დედა ვერაფერს შველის შენს შვილებს. შენ მარტო შენი შვილების დედა არ იყავი, შენ სკოლის ბავშვების აღმზრდელიც იყავი და ყველას გული ატკინე.

როგორ მენატრები, საყვარელო,
ოცნებით შენთან ვარ მუდამ,
ბევრს ვნატრობ, შენთან რომ მოვიდე,
არაფრით უკან არ დავიხევ, არა!..

სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა, შვილო, შენც უზომოდ გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ ვერაგი სენი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრდება შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი. ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. მოვალთ საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს, დარდებს გაგანდობთ ჩემსას, გულზე დაგაყრით ცრემლებს.

გილოცავთ დაბადების დღეს.

*შენი ცრემლიანი უბედური დედა მარინა, მამა – ვაჟა*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი"-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru